

LEGENDS AND TRADITIONS IN THE FOLKLORE OF THE LIAKHVI GORGE

თქმულება-გადმოცემები ლიახვის ხეობის ფოლკლორში

Aleksandre Mgebrishvili

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

Abstract. Historical folklore holds a distinctive place within the oral traditions of the Liakhvi Gorge. Given the limited corpus of recorded folklore from this region, it can be asserted that historical legends and traditions constitute a significant portion of the preserved material.

It is evident that, amid the multitude of events shaping human experience, only those of particular historical or cultural significance capture attention and are subsequently woven into the fabric of legend and tradition. These narratives, by their very nature, often emerge from pivotal conflicts. Like all oral traditions, tales of this genre have undergone transformations over time. Notably, legends surrounding historical figures and their deeds have enjoyed enduring popularity.

As is characteristic of Georgian folklore at large, the oral traditions documented in the Liakhvi Gorge during the 19th century frequently reference Queen Tamar. It is not uncommon to find various historical edifices, geographic landmarks, and settlements attributed to her, with their origins and nomenclature linked to her legacy.

A defining feature of historical folklore is the embellishment and magnification of events and the actions of prominent figures. Chronological inconsistencies, factual distortions, and conflation of dates are prevalent. Most of these tales are recounted in a succinct manner, often lacking intricate artistic embellishment.

Beyond their historical essence, scholars distinguish additional categories of folklore, including customary, ethnonymic, and social narratives, among others. The classification of these tales is primarily determined by their thematic content and underlying motifs.

Key words: Liakhvi Gorge, oral tradition, legends, traditions, folk customs, Aleksandre Machabeli.

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

აბსტრაქტი. ლიახვის ხეობის ზეპირსიტყვიერებაში გარკვეული ადგილი უკავია საისტორიო ფოლკლორს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ რეგიონში ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშების არც თუ ისე დიდი მარაგი გაგვაჩნია, შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო თქმულება-გადმოცემებს ჩვენამდე მღწეულ მასალათა შორის სოლიდური ადგილი უკავია.

ცხადია, რომ ცხოვრებაში მიმდინარე უამრავ მოვლენათა შორის, მხოლოდ ზოგიერთი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფაქტები იქცევენ ყურადღებას და გადადიან თქმულებებსა და გადმოცემებში. მსგავსი ამბები, როგორც წესი, გარკვეულკონფლიქტებს ეფუძნებიან. სხვათა მსგავსად, ამ ჟანრის ტექსტები დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდნენ. განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდნენ თქმულებები ისტორიულ პირთა და მათი ღვაწლის შესახებ.

ისევე, როგორც ზოგადად ქართულ ფოლკლორში, XIX საუკუნეში ლიახვის ხეობაში ჩაწერილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შორის პოპულარობით სარგებლობს თამარ მეფის სახელი. ხშირია სხვადასხვა ისტორიულ ნაგებობათა, გეოგრაფიულ წერტილთა და დასახლებულ პუნქტთა დაარსების, მათთვის სახელის დარქმევის თამარისადმი მიკუთვნების შემთხვევები.

საისტორიო თქმულებების უმთავრეს მახასიათებლს წარმოადგენს ფაქტებისა და ისტორიულ პირთა ქმედებების ჰიპერბოლიზაცია. ხშირია ფაქტების, მოვლენების და თარიღების აღრევა. გადმოცემათა დიდი ნაწილი მოთხრობილია მოკლედ და საგრძნობია მხატვრული დამუშავების დეფიციტი.

საისტორიო ხასიათის გარდა, მკვლევართა მოსაზრებით, გამოიყოფა საწესჩვეულებო, ეთნონიმიკური, სოციალური და სხვა სახის თქმულებები. სახეობად დაყოფის საფუძველს თქმულება-გადმოცემათა შინაარსობრივი მხარე წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ლიახვის ხეობა, ზეპირსიტყვიერება, თქმულებები, გადმოცემები, ხალხური ადათ-წესი, ალექსანდრე მაჩაბელი.

შესავალი. ლიახვის ხეობის ზეპირსიტყვიერებაში გარკვეული ადგილი უკავია საისტორიო ფოლკლორს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ რეგიონში ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშების არც თუ ისე დიდი მარაგი გაგვაჩნია, შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო თქმულება-გადმოცემებს ჩვენამდე მღწეულ მასალათა შორის სოლიდური ადგილი უკავია.

ცხადია, რომ ცხოვრებაში მიმდინარე უამრავ მოვლენათა შორის, მხოლოდ ზოგიერთი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფაქტები იქცევენ ყურადღებას და გადადიან თქმულებებსა და გადმოცემებში. მსგავსი ამბები, როგორც წესი, გარკვეულკონფლიქტებს ეფუძნებიან. სხვათა მსგავსად, ამ ჟანრის ტექსტები დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდნენ. განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდნენ თქმულებები ისტორიულ პირთა და მათი ღვაწლის შესახებ.

ისევე, როგორც ზოგადად ქართულ ფოლკლორში, XIX საუკუნეში ლიახვის ხეობაში ჩაწერილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შორის პოპულარობით სარგებლობს თამარ მეფის სახელი. ხშირია სხვადასხვა ისტორიულ ნაგებობათა, გეოგრაფიულ წერტილთა და დასახლებულ პუნქტთა დაარსების, მათთვის სახელის დარქმევის თამარისადმი მიკუთვნების შემთხვევები.

საისტორიო თქმულებების უმთავრეს მახასიათებლს წარმოადგენს ფაქტებისა და ისტორიულ პირთა ქმედებების ჰიპერბოლიზაცია. ხშირია ფაქტების, მოვლენების და თარიღების აღრევა. გადმოცემათა დიდი ნაწილი მოთხრობილია მოკლედ და საგრძნობია მხატვრული დამუშავების დეფიციტი.

საისტორიო ხასიათის გარდა, მკვლევართა მოსაზრებით, გამოიყოფა საწესჩვეულებო, ეთნონიმიკური, სოციალური და სხვა სახის თქმულებები. სახეობად დაყოფის საფუძველს თქმულება-გადმოცემათა შინაარსობრივი მხარე წარმოადგენს.

მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახლებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა. ლიახვის ხეობის ზეპირსიტყვიერებაში გარკვეული ადგილი უკავია საისტორიო ფოლკლორს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ რეგიონში ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშების არც თუ ისე დიდი მარაგი გაგვაჩნია, შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო თქმულება-გადმოცემებს ჩვენამდე მღწეულ მასალათა შორის სოლიდური ადგილი უკავია.

ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშს ქართლისთვის მძიმე სენად ქცეული ლეკთა გაუთავებელი თავდასხმების გამომახილი წარმოადგენს. თქმულება-გადმოცემის მთავარი პერსონაჟი სესიკი ყაულაშვილია, რომელიც იმ გმირ პერსონაჟთა შორისაა, რომლებსაც გაჭირვების ჟამს მოუვლენდა ხოლმე განგება გაწამებულ მოსახლეობას. ასეთი პერსონაჟები აქტიურად იღებდნენ ხოლმე ბინას ხალხურ თქმულება-გადმოცემებში და ხშირად რეალურად არსებულ გმირთა პროტოტიპებსაც წარმოადგენდნენ.

გადმოცემა მოგვითხრობს, რომ კეხვი¹, ქემერტსა² და სხვა სოფლებში ლეკთა მორიგი თავდასხმის დროს, როდესაც მომხდურის ცამეტ კაციანი რაზმი შედგა ხიდზე, ხიდის

¹ **კეხვი** - სოფელი საქართველოში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქუთაისის თემში. მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. 2008 წლის შემდეგ ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

² **ქემერტი** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქუთაისის მუნიციპალიტეტში, 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში, 2006 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდინარე

ყურთან ჩასაფრებულმა ყაულაშვილმა ხიდი წამოსწია და ცამეტივე ლეკი ადიდებული ლიახვის ტალღებს გაატანა.

„სესიკი ყაულაშვილი. ყაულაანთი ეხლაც ზორბა ხალხია, მაგრამ უწინ რომგამოდოდნენ, ეხლა აღარ არიან იმისთანები, იმათი სესიკი თავის ახოვნობით და ღონე გმირობით განთქმული იყო. ერთხელ როდესაც ლეკები დათარეშობდნენ ქართლში, შემოესივნენ კეხვსა, ქემერტსა და სხვა სოფლებსაც. ყაულაშვილი ჩაიამალა ხიდის ყურთან, სადაც ლიახვზე ერთი ხე იყო გადადებული. (ეხლაც იმ ალაგს ნახიდარს ეძახიან, დაუწყო ლოდინი, ლეკები როდის გამოივლიან ხიდზედაო. აგერ ლეკებიც მალე შემოდგნენ ხიდზედ, სესიკმა ასწია ხიდსა, და ეს ხიდი ცამეტი ლეკით შიგ ლიახვში კი გადუძახა, აზვავებულმა ლიახვმა სუყველანი მიახრჩო. მრავალი სხვა ვაჟ-კაცობაც გამოიჩინა სესიკმა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1898ა: 1)

ლიახვის ხეობისეულ თქმულება-გადმოცემათა შორის უაღრესად საინტერესოა ბატონის ერთგულებისადმი მიძღვნილი ტექსტი „ყბა-თეთრი მეტრეველი“. როგორც ვამბობდით, ეს მასალა ისტორიული თქმულება-გადმოცემების რიგისაა. სიუჟეტური ხაზი ვითარდება იასე, გოგია და ბარძიმ მაჩაბლების უთანხმოების ფონზე. ბარძიმის მიერ მეფესთან (საუბარი ეხება ერეკლე მეფეს) ენის გატარების შემდეგ მდივანი³ ამილახვარი მობრძანდება ლიახვის ხეობაში იასე და გოგია მაჩაბლების მეფისადმი ერთგულებაში დასარწმუნებლად.

ხეობაში შემოსვლისთანავე ამილახვრის გაცემას იწვევს ცარიელი სოფლები. გადადის ხეითში⁴, ძარწემში⁵, ყველგან ანალოგიური ვითარებაა. ერთადერთი ადამიანი,

დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე. 2008 წლის შემდეგ ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

³ **მდივანი** - უმაღლესი სახელისუფლო ორგანო; სამეფო კანცელარია, სასამართლო დაწესებულება. სამოხელეო ტერმინი მდივანი ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში XV ს-დან ჩნდება. ამავე ფუძიდანაა ნაწარმოები მდივანბეგი და მდივანი, რომელმაც XV-XVIII სს-ის ქართული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, თანდათანობით დაიკავა უფრო ადრინდელი მწიგნობრის ადგილი. მდივნები - ერეკლე მეორის სამეფო კარზე ხელმძღვანელობდნენ მწერლობას, მწიგნობრობას. დიდი გავლენა ჰქონდათ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. მდივანობა კანონმდებლობისა და საკანცელარიო საქმის კარგ ცოდნას მოითხოვდა, რის გამოც იგი მთელ რიგ საგვარეულოთა მემკვიდრეობით პროფესიად იყო ქცეული. სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტების შედგენის წესის გარდა, მდივანს მოეთხოვებოდა კარგი ხელწერა, რამაც ხელი შეუწყო მდივანმწიგნობრული კალიგრაფიული სკოლების ჩამოყალიბებას. მდივანი სამდივნოს ცენტრალური ფიგურა იყო და იგი სახლთუხუცესის უწყებას ეკუთვნოდა. XV-XVII სს-ის ქართველ მეფეთა სამდივნოებში ერთდროულად რამდენიმე მდივანი საქმიანობდა. XVIII ს-ში, ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში, გიულდენშტედტის მოწმობით, ერთდროულად ექვსი მდივანი ყოფილა. მათი რიცხვი თითქმის გაორმაგებულა ერეკლე II-ის მიერ მმართველობის დარგობრივი დაყოფის შედეგად, რამდენადაც მდივანთა საქმიანობას ყველა უწყება განიცდიდა. მდივანები მმართველობის ყველა სფეროს ემსახურებოდნენ, მათი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო ყმა-მამულის ბოძება, ბრძანება-განკარგულებათა გაცემა, სასამართლო ოქმებისა და განჩინებების ჩაწერა, ფისკალური დოკუმენტების, ხალხის აღწერის დავთრებისა თუ დიპლომატიური წერილების შედგენა. „დასტურლამალის“ მიხედვით, მდივანი სარგოს ყველა იმ წყაროებიდან იღებდა, საიდანაც სახლთუხუცესი.

⁴ **ხეითი** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის ქუთის მუნიციპალიტეტში, 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში, 2006 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს. 2008 წლის შემდეგ ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

⁵ **ძარწემი** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის ქუთის მუნიციპალიტეტში, 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში, 2006 წლამდე გორის

ვინც კონტაქტზე გამოდის ამილახვართან არის სვერის⁶ მკვიდრი ყბა-თეთრი მეტრეველი. ამილახვრის კიდევ უფრო მეტ გაცემას იწვევს მეტრეველის მიერ გამოვლენილი თავგანწირვა და სიყვარული თავისი ბატონების, მაჩაბლების მიმართ. ამილახვრის მიერ მისი წამების ბრძანების გაცემის მიუხედავად, მეტრეველი ჯიუტად იმეორებს: „ჯვრისა და სახარების მადლი მრისხავდეს, თუ მაჩაბელს მე ორგულობა გავუწიო როდისმეო“. ასეთი ერთგულებით გაცემული ამილახვარი გადაწყვეტს საკითხი ხელმეორედ განიხილოს, ხელახლა მოიკითხოს მეფესთან მიტანილი ცნობის სისწორე, რაც სიცრუე აღმოჩნდება, მაჩაბლები საკუთარ უფლებებში აღდგებიან და სიმართლე გაიმარჯვებს.

„ყბა-თეთრი მეტრეველი. ბატონის ერთგულება (ისტორიული მასალა). იასე და გოგია მაჩაბელი დააბეზლა ბარძიმ მაჩაბელმა მეფესთან, (მგონი ერეკლესთან) რომ ესენი უპირებენ თავიანთი ქალი იმერეთის მეფის შვილს მიათხოვონ, მერმე ქართლში გაამეფონ და თავისი ქალი გაადედოფლონო. ამაზე ჩამოართვეს ყმა და მამული იასეს და გოგიას, გამოგზავნეს ამილახვარი მდივანი, რომ ხალხი დაეფიცებინა ბატონის ორგულობაზე, რომ სამსახური აღარ გაეწიათ. მოვიდა ამილახვარი ხეთში, არავინ დახვდა. ავიდა ძარწემს, ვერც იქ იპოვა კაცი. მოვიდა სვერსა და ეს ერთი ყბა-თეთრი მეტრეველი იპოვა; უთხრა: უნდა ჯვარზე და სახარებაზე დაიფიცო, რომ მაჩაბლებს ყმა და მამული ჩამოერთვა და მეფის ერთგული უნდა იყო. ყბა-თეთრმა მეტრეველმა აიღო ხელი და სთქვა: „მაგ ჯვარის და სახარების მადლმა ამომწყვიტოს, თუ მე მაჩაბელს ორგულობა გავუწიო როდისმეო“.

ამილახვორს გაუკვირდა ასეთი საქციელი, ბევრი შესთათხა, მაგრამ არ იქნა. მერე გაატიტვლებინა, წაუსვა თაფლი და მზეზე მიაკვრევინა ხეზედ. ის ეუბნებოდა, გინდა მამკალით, არ დავიფიცავო. რომ შეწუხდა ძალიან, უთხრა; ამიშვით, უნდა დავიფიცოო“. აუშვეს, აიღო ხელი და დაიფიცა; „ა ჯვარისა და სახარების მადლი მრისხავდეს, თუ მაჩაბელს მე ორგულობა გავუწიო როდისმეო“. გაუკვირდა დიდამ და გაბრაზებულმა სთქვა: „ამ მაჩაბელმა რა გიყოთ ისეთი, რომ მაგრე თავ-გადაკლულები ხართ მაგათთვის; ჯერ არის და ერთი კაცი ვერ ვიპოვე სოფლებში, მერე ეს ვიპოვე და ესეც ასე მიჰქარავსო. მას უკან მოკითხული ქნეს, ყველა დაბეზლება სიცრუე აღმოჩნდა და ისევ ყმა და მამული უკან დაუბრუნდათ. ამ ხეობაში ყბა-თეთრი მეტრეველი და მისი შვილი გიორგი პირველი კაცები იყვნენ.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ა: 10)

საინტერესოა ის დეტალიც, რომ ამ თქმულებას სათაურშივე დართული აქვს განმარტება, რომლის მიხედვითაც მთქმელი მეტი დამაჯერებლობის ელფერის მისაცემად კიდევ უფრო მეტად აკონკრეტებს მთავარი მოქმედი გმირის ვინაობას, მიუთითებს, რომ ის: „მამა იყო იმ გიორგი მეტრეველისა, რომელიც ქემერტელებმა ელჩად გაუგზავნეს, რუსის ჯარი რომ კეხვში შემოვიდა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ა: 10)

ტექსტში მოტანილ სიუჟეტში ხაზგასმულია მაჩაბელთა ფეოდალური სახლის ავტორიტეტი ლიახვის ხეობის სოფლებში, მოსახლეობის მათდამი ერთგულება და მაჩაბლების დამოკიდებულებები მოსახლეობისადმი.

ცხადია, რომ ცხოვრებაში მიმდინარე უამრავ მოვლენათა შორის, მხოლოდ ზოგიერთი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფაქტები იქცევენ ყურადღებას და გადადიან თქმულებებსა და გადმოცემებში. მსგავსი ამბები, როგორც წესი, გარკვეულკონფლიქტებს ეფუძნებიან. სხვათა მსგავსად, ამ ჟანრის ტექსტები დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდნენ. განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდნენ თქმულებები ისტორიულ პირთა და მათი ღვაწლის შესახებ.

მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს. 2008 წლის შემდეგ ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

⁶ სვერი - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქუთაისის მუნიციპალიტეტში, ქემერტის თემში. მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე, 2008 წლის შემდეგ ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

„თქმულებათა ხასიათს აპირობებს ამბის შინაარსი, ხოლო მის სიძველეს განსაზღვრავს მოთხრობაში შემორჩენილი ფანტასტიკის მეტ-ნაკლებობა. რაც უფრო განათლებულია საზოგადოება, მით უფრო ნაკლებად სჯერა მას თქმულებაში მოთხრობილი ისტორიისა, განსაკუთრებით ეს ეხება ფანტასტიკური ამბების ჭეშმარიტებისადმი რწმენას. ამის მიუხედავად, მთქმელი გადმოსცემს ისტორიას დიდი დარწმუნებით და, თუმცა ამბის თვითმხილველობას ვერ იჩემებს, მაინც ისე აცოცხლებს ნაწარმოების შინაარსს, თითქოს მის რეალურობაში ეჭვიც კი არ შეიზლება შეიტანონ.“ (ქურდოვანიძე, 2011: 124)

თქმულება-გადმოცემათა შინაარსის აღქმისას გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორები. მკითხველი, ცხადია, მზად არის რეალობისაგან და ეს, პირველყოვლისა, თხრობის ელემენტებზე დაკვირვებისას ხდება საგრძნობი.

მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ვრცელ ეპიკურ ტილოდ ქცეული ამირანის ეპოსის გადმოძახილით მიღებული მცირე ვარიაცია „ამირანი და ამბრი“, რომელიც სოფელ ქემერტში ჩაუწერია ალ. მაჩაბელს.

„ამირანი და ამბრი. ერთი გმირი იყო, სახელად ამბრი ერქვა, მეტად ღონიერი რამ იყო, მისი ქება ცამდის იყო ასული; ჯერ არავინ გამოჩენილიყო ამბრის დამძალავი. მასთან შებმა და მისი ვაშკაცობის გამოცდა ამირანს ენატრებოდა, მაგრამ ვერსად შეხვდა. გავიდა რამდენიმე ხანი, ამბრი გზაში მოკვდა. დაუდეს ურემზე და როგორც იყო მახლობელმა ხალხმა ამბრი და წამოიღეს სახლში დასთან. დამ რა გაიგო ძმის სიკვდილი, გამოეგება. პატარაობის აქეთ აღარ ენახა თავისი ძმა, მისი გმირობა კი გაგონილი ჰქონდა. რომ მივიდა და მიუტირა, საცდელად ცალი ფეხი ძირს ჩამოუღო; ფეხმა სიმძიმით მიწა მოხნა. ამ დროს ამირანი შემოეყარა წინ. ამბრის დამ უთხრა: „მადლია შენთვის, ასწიე ეს ფეხი და გაუსწორე“. ამირანმა ასწია, მაგრამ ვერ მოერია, რომ ფეხი ურემზე შეედო. მაშინ ამბრის დამ გაუსწორა ფეხი და ამირანს ასე უპასუხა:

ამბრისა მზემა, ამირან,
შენ ამბრსა ვერ ედარები,
ცოცხალსა სთხოვდი მუქარას,
მკვდარსაც ვერ დაედარები!...“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ბ: 11)

ისევე, როგორც ზოგადად ქართულ ფოლკლორში, XIX საუკუნეში ლიახვის ხეობაში ჩაწერილს ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შორის პოპულარობით სარგებლობს თამარ მეფის სახელი. ხშირია სხვადასხვა ისტორიულ ნაგებობათა, გეოგრაფიულ წერტილთა და დასახლებულ პუნქტთა დაარსების, მათთვის სახელის დარქმევის თამარისადმი მიკუთვნების შემთხვევები.

თამარის ციკლის თქმულება-გადმოცემათა შორის საინტერესოა ლიახვისპირული „თქმულება თამარ დედოფალზე.“ ვინაიდან ეს ტენდენცია საგრძნობია სხვა კუთხეებში მოპოვებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშიც, ვფიქრობთ ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს ზეპირსიტყვიერების საერთო ქართულ საფუძველზე.

„თქმულება თამარ დედოფალზე. თამარ დედოფალი იყო ერთი ძლიერი თათრის ხელმწიფის ქალი. ძალიან ლამაზი იყო, ბევრი მთხოვნელიცა ჰყავდა, მაგრამ არავის მისთხოვდა. ერთხელ მამამ უთხრა: - ერთი დიდი ხელმწიფის შვილი გთხოულობს და იმას უნდა მისთხოვდეო. თამარმა თავი გადაიკლა: გათხოვება არ მინდაო. მაშინ მამა გაუწერა და ციხეში დაამწყვდია, მერე მოინდომა იმისი დატანჯვა. თამარი გულთ მისანიც იყო: გაიგო, რაც მოელოდა, შეეხვეწა ღმერთსა: ოღონდ აქედან გამომიყვანე, აღთქმა დაუდო, მოვინათლებიო. ღმერთმაც გაუგონა ლოცვა, გამოიყვანა და ის ძალაც მისცა, რომ რასაც ინატრებდა, აუსრულდებოდა. გამოფრინდა თამარი ციხიდან, წამოვიდა და ბრუტ-საბძელაზე მოვიდა. ინატრა და სასახლე და საყდარი აშენდა. იქ დაიწყო ცხოვრება და ცისკარიც იმასა ჰყავდა დაჭერილი, ცაზე აღარ იყო. იმასა ჰყავდა ერთი მოახლეც. გამოვიდა

ხანი-ბანი, თამარმა მოინდომა შავი ზღვის პირას - იმერეთში წასვლა. აბა ვინ დაუშლიდა? დაუძახა თავის მოახლეს, მისცა შვიდი ოთახის გასაღებები და უთხრა:

- ამ ექვსი ოთახის გაღება შეგეძლოს, მაგრამ ამ მეშვიდეს ხელი არ ახლო და არ გააღოვო. ადგა და გადაჭვრინდა იმერეთში და იქ დადგა.

მოახლეს გულმა არ გაუშლო, მალე დაადო ეს ექვსი ოთახი და ნახა, რაც რამ იყო, სიმდიდრე იყო, თუ რაცა. მეშვიდე ოთახის გაღება ვერ გახდა ჯერ და ფიქრი დაიწყო; მოდი, რაც მომივა, მომივა და ამ მეშვიდე ოთახსაც გავაღებო, რა არის, რათ დამიშალაო? ბევრი აღარ იფიქრა, ადგა და გააღო. უცბათ დაიფრთხილა იმ ოთახში დამწყვედიულმა ცისკარმა, გაფრინდა ცაში და გარეშემო ღრუბელი შემოირტყა. თამარმა გახედა ცასა, დაინახა რომ ღრუბელში ცისკარი იმალებოდა. ბევრი ინანა და ინაღვლა, მეშვიდე გასაღები რათ მივეციო, მაგრამ რაღას მოეწეოდა! ადგა, საჩქაროდ შეაკაზმინა ცხენი და გამოეშურა ბრუტ-საბძელასაკენ: ეგება როგორმე საქმეს ვუშველოვო. წამოვიდა იქიდან და გზაში თოვლა დაიწყო; ღარში რომ ამოვიდა, ცხენმა ღარივით გაამკვლია მუხლზე მომდგარი თოვლი და იმ ადგილზე გაშენებულს სოფელს იმიტომ დაერქვა: „ღარი“. ზევით რომ ამოსცდა და გამოიარა გზა, თოვლი ცხენს ბეჭამდის მოადგა, იმ ადგილს დაერქვა „ონი“ სადაც ეხლა ონის ქალაქია. გამოაშურა კიდევ, მაგრამ ცხენმა ვეღარ შესძლო და მოკვდა. იმ ალაგს დაერქვა „კვდარო“, სადაც ეხლა სოფელი „კუდარო“ არის, ე.ი. მოკვდაო. ფეხით წამოსვლა აღარ შეიძლებოდა. გამოხედა დაღონებულმა თამარმა ბრუტ-საბძელასა, დაინახა სულ თოვლივით ჩამოლესილიყო, ადგა და გაჯავრებულმა დასწყევლა: „შენ თოვლს თოვლმა მოასწროსო“. მას უკან ძველ თოვლს ახალი ასწრობს და ამიტომ ოსებში ზამთარია, თორემ ოსებში ზამთარს რა უნდოდა? სულ ვენახები იყო გაშენებული, ეხლაც ბევრია ნავენახრები და ქვევრები ოსებშიო.“ (აკაკის თვითური კრებული, 1898ბ: 19)

აღნიშნული ტექსტი, რომელიც მიეკუთვნება თამარ მეფეზე შექმნილ თხზულებათა რიგს, პარალელურად, შესაძლებელია მივაკუთვნოთ ტოპონიმიკურ თქმულებებსაც. ეს ტიპი უაღრესად გავრცელებულია მათი მთქმელის დახმარებით ისხნება გეოგრაფიული ადგილებისა, ან მნიშვნელოვან ნაგებობათა სახეები. ასეა აქაც მთქმელი დარწმუნებულია, რომ თამარის სტუმრობასთან დაკავშირებული პერიპეტიების გამო ეწოდა სოფელს „ღარი“, ქალაქს „ონი“, კიდევ ერთ სოფელს „კუდარო“ და ა.შ. მაგალითად:

„ღარში რომ ამოვიდა, ცხენმა ღარივით გაამკვლია მუხლზე მომდგარი თოვლი და იმ ადგილზე გაშენებულს სოფელს იმიტომ დაერქვა: „ღარი“. (აკაკის თვითური კრებული, 1898ბ: 19)

ანალოგიური დეტალია:

„ზევით რომ ამოსცდა და გამოიარა გზა, თოვლი ცხენს ბეჭამდის მოადგა, იმ ადგილს დაერქვა „ონი“ სადაც ეხლა ონის ქალაქია.“ (აკაკის თვითური კრებული, 1898ბ: 19)

და კიდევ:

„გამოაშურა კიდევ, მაგრამ ცხენმა ვეღარ შესძლო და მოკვდა. იმ ალაგს დაერქვა „კვდარო“, სადაც ეხლა სოფელი „კუდარო“ არის.“ (აკაკის თვითური კრებული, 1898ბ: 19)

საისტორიო თქმულებების უმთავრეს მახასიათებლს წარმოადგენს ფაქტებისა და ისტორიულ პირთა ქმედებების ჰიპერბოლიზაცია. ხშირია ფაქტების, მოვლენების და თარიღების აღრევა. გადმოცემათა დიდი ნაწილი მოთხრობილია მოკლედ და საგრძნობია მხატვრული დამუშავების დეფიციტი.

საისტორიო ხასიათის გარდა, მკვლევართა მოსაზრებით, გამოიყოფა საწესჩვეულებო, ეთნონიმიკური, სოციალური და სხვა სახის თქმულებები. სახეებად დაყოფის საფუძველს თქმულება-გადმოცემათა შინაარსობრივი მხარე წარმოადგენს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიახვის ხეობაში ჩაწერილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შორის საინტერესოა ზოგიერთი საწესჩვეულებო ხასიათის თქმულება-გადმოცემა, რომლებსაც საფუძველად უდევთ ხალხური ადათები, რწმენა-წარმოდგენები, ჩვეულებები და სხვ.

ამგვარ თქმულებათა ყველაზე პოპულარულ თემატიკას წარმოადგენს სამონადირეო საქმე, მაგალითად, ამგვარია თქმულება „ქარციხის თებრუ ივანე“. ტექსტი რამდენიმე მოტივისგან შედგება. როგორც ამგვარ ტექსტთა უმეტესობა, ისიც პროზაული ფორმისაა, თუმცა შერეული აქვს ლექს-ჩანართებიც.

„ქარციხის თებრუ ივანე. ყურშას ეძახდნენ სანადირო ძაღლს. არის ერთნაირი ყორანი, რომელიც ორ კვერცხს დასდებს; რომ გამოიჩეკება, ერთისაგან ყორანი გამოდის, მეორისაგან ძაღლის ლეკვი, რომელსაც ყურშა ჰქვია. რაკი ნახავს, რომ ლეკვი მას არა ჰგავს, აიღებს და გადმოაგდებს. ვინ იპოვის და გაზდის, საუცხოვო მონადირე ძაღლი გამოდის, რომელსაც არაფერი ნადირი არ გამოეპარება. ერთი ამგვარი ლეკვი გაზარდა მონადირემ ქარციხის თებრუ ივანემ.

ივანე დადიოდა სანადიროთ თავის ყურშათი და თან ორი კვირის საგზალი პური მიჰქონდა ხოლმე. ერთხელ წავიდა სანადიროთ, დაისვენა ერთ მთის წვერზე, ამ დროს იძრა მიწა და გარეშემო შემოერღვა და შემოეცალა იგი; ეს ივანე კი თავის ყურშათი შერჩა ამ მთას უვნებლად. გასასვლელი გზა არსად იყო, შერჩნენ ერთად ამ უდაბურს ადგილს, მშველელი არსაიდან სჩანდა, არც ჩამოსვლა და არც გადმოხტომა არ შეიძლებოდა. გაუთავდათ საგზალი და დაიმშენ. გაჯავრებულმა ივანემ ყურშას შესძახა:

შეჰყეფე, ყურშავ, ტიალო,
შენ, შავი პატრონისაო!
ან გაიგონებს მეცხვარე,
ამ მონადირე მთისაო,
მთასა კვიდივარ ფეხითა,
ფურ-ბეწვის ქალამნითაო!

შეჰყეფა ყურშამ საზარლად დიდის ზმითა, მაგრამ არავინ მოეშველა. რა გაჭირდა საქმე შიმშილითა, ყურშამ ანიშნა პატრონს: მე დამკალ და შემჭამეო, ეგებ მანამ მოვიდეს ვინმე და გიშველოსო. ივანემ შორს დაიჭირა, მაგრამ სული ტკბილია, ძალიან რომ მოშივდა, დაიწყო ტირილი, გამოეთხოვა ყურშას, დაკლა, დააკვესა ცეცხლი, დაამტვრია მშვილდ-ისარი, დაანთო ცეცხლი, შესწვა და შესჭამა. რაკი ღა ივანემ ამოდენა ხანი დაიგვიანა და სახლში აღარ დაბრუნდა, ძმა წავიდა სამეზნელად. ბოლოს იპოვა მთაზე შერჩენილი თავისი ძმა და შეუძახა:

ივანე, ქვარციხის თებრუ,
შენ მონადირე მთისაო!
შენი მშვილდი და ბოძალი
დეგ-გვირთა დამანდობელი...
-შვილდიცა დავწვი, ბოძალიც,
ცეცხლი დავანთე ისრისა,
დავკალ ყურშა და შევჭამე,
ვაიმე, წამწყმედს მე ისა!
- გადმოხტი თუ გადმოხტები,
შე უბედურო დღისაო!...

მაშინ შეჭამა მიწა, ისკუპა ივანემ, გადმოჰყვა კლდე-ლოდი და დაიმსხვრა ერთიანად, დაუდეს საკაცეხედ მკვდარი, წაიღეს სახლში და ძმამ რძალს შესტირა:

ივანე რომ გადმოფრინდა,
ვით შევარდენი ცისაო,
იმას რომ ლოდი დაეცა,
დევნი ვერ აუდგებოდა,
სისხლისა ნაგუბარზედა

ზედ ნავი მოცურდებოდა!

ივანე დამარხეს ყველამ დიდის გლოვითა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899გ: 21)

საგულისხმოა, რომ თქმულების ზემოხსენებული ვარიანტი ალექსანდრე მაჩაბელს ჩაუწერია ლიახვის ხეობის სოფელ ქურთაში მ. ჟიჟიაშვილისგან 1899 წელს, თუმცა ეს არ არის ამ თქმულების ერთადერთი ვარიანტი. ბ. აბაშიძე ნაშრომში „მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“ მიუთითებდა, რომ თქმულება ყურშასა და ივანე ქვაციხელის შესახებ, როგორც დანარჩენი სამონადირეო მითიური სახის სიმღერები, ფერხისაის⁷ დროს სრულდებოდა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ბეჟან აბაშიძის დასახელებულ ნაშრომში მოტანილი იმავე თქმულების განსხვავებული ვარიაციის მიკითხველისთვის გაცნობა.

„ყურშასა და ივანე ქვაციხელის ლექს-თქმულებანი. ფერხისაის შესავალი „შავი ყურშა“ შემახილით იწყება. თქმულებაში ყურშა ხასიათდება, როგორც კარგი მონადირე; ყურშას ყეფა ქუხილსა ჰგავდა ზეცისას, ყურშას ნახტომი დიდი მინდორი იყო, ყურშას ტოტები კალოს ოდენები, ხოლო ყურშას თვალები მთვარის ოდენები. ეს დახასიათება ყურშას მითურ ცხოველად წარმოგვიდგენს.

ამავე ფერხისაის მსგავსია ივანე ქვაციხელის ლექსი. ჯიხვებს კლდეზე შეეტყუებინათ განთქმული მონადირე, რომელიც დაბლა ვეღარ ჩამოდის, ისრისგან ცეცხლი დაუნთია ყურშა დაუკლავს, მაგრამ ვერ შეუჭამია:

**„გვითლია, არ გვიჭამია,
არც სული წაგვიწყმედია“.**

ივანე ქვაციხელი თხოულობს მიჯნურს დამანახეთ და კლდიდან გადმოვხტები

**„მომგვარეთ ჩემი მიჯნური,
მალიდან გადმოვფრინდებიო“.**

მოიყვანეს მისი მიჯნური: მიჯნური შეუმახებს:

**„ივანე, აგრე იტყოდი:
არ მეშინია კლდეში და,
გადვარდი თუ გადვარდები,
შე ჯიხვო მაღლის კლდისაო,
შაო ყურშაო, თან ჩაჰუე,
შე შავის პატრონისაო.“**

ივანე ხტება კლდიდან:

**„ივანე რო კლდეს გადვარდა,
ორბიც ვერ ჩაფრინდებოდა:
ივანეს რომ ქვა გადაჰყვა,
ლომიც ვერ აუდგებოდა.
ივანეს რომ სისხლი სდინდა,
ზედ ნავი მოცურდებოდა“.**
ივანეს სისხლის ნადენზე
**„ჩავლენ ყვავი და ყორანი,
ძლომაც არ ეკიდებოდა.“**

შემდეგ:

ყურშა იბადება ყორნის კვერცხისაგან. ყორანს მისი მოსპობა უნდა და მალიდან აგდებს, რომ მოკვდეს. მაგრამ თებრუ ივანე პოულობს კვერცხსა. სწორედ ამ კვერცხისაგან

⁷ ფერხისაი - (ძვ.) ჯგუფური ცეკვა სიმღერით, იგივე ფერხული.

იზადება ივანეს ძალი ყურშა. ერთხელ ივანე და ყურშა კლდის წვერზე შემორჩნენ. ივანე კლდის წვერზე ჰკიდია ფეხით. ყურშას უმახის, შეჰყეფეო. მმა მიდის საძებნელად და პოულობს ივანეს მთაზე შერჩენილს. მმა შეუმახებს ივანეს:

„ივანე ქვაციხის თებრუ,
შენ მონადირე მთისაო!
შენი შვილდი და ბოძალი
დევ-გმირთა დამადნობელი!..
—შვილდიცა დავწვი, ბოძალიც,
ცეცხლი დავანთე ისრისა,
დავკალ ყურშა და შევჭამე,
ვაჰმე წამწყმედავს მე ისა!
—გადმოხტი, თუ გადმოწბტები,
შე უბედური დღისაო!..“

ივანემ ყურშა შეჭამა და გადმოხტა:

„-ივანე რომ გადმოფრინდა,
ვით შევარდენი ცისაო,
იმას რომ ლოდი დაეცა,
დევნი ვერ აუდგებოდა,
სისხლისა ნაგუბარზედა
ზედ ნავი მოცურდებოდა.“

აქაც, როგორც წინა ვარიანტებში, ყურშა გარკვეულ როლს ასრულებს:

„შეჰყეფე, ყურშაე, ტიალო,
შენ შავი პატრონისაო,
ან გაიგონებს მეცხვარე,
ან მონადირე მთისაო.“

სვანურ ვარიანტში ყურშა წკმუტუნით გამორბის, რათა პატრონებს შეატყობინოს მონადირის ამბავი. (ვირსალაძე, 1964: 193)

საინტერესოა აგრეთვე ელ. ვირსალაძის მიერ გამოქვეყნებული თქმულების ტექსტი „მონადირე“. ამ ვარიანტით, მონადირეს ვეფხვი შეებმება და უფსკრულში გადაიყოლებს. აქაც მონადირე ფეხით დაეკიდება კლდეზე და ყურშას უმახის: შეჰყეფე, იქნებ ვინმემ გაიგოსო. ასე ეკიდა იგი ექვს დღელამეს. მონადირე თავზედს იწყევლის. რძალი მონადირის მმას აგზავნის: წადი, ივანე მონახეო. მმა ყურშას ყეფის ხმაზე ივანეს მიაგნებს და ჩასძახებს. მონადირე უპასუხებს: მესროლე ტყვია, იქნებ ამ წვალეხას გადავრჩეო:

„მესროლე, მმაო, მესროლე,
არ არი შენი ბრალიო,
მე და ვეფხვ შავეპიდენით,
უფსკრულში გდია მკვდარიო.
მეც იმან გადამიყოლა
არ მაქ სიცოცხლის თავიო!“

მმამ ესროლა ტყვია, გაწყვიტა ქალამნის კოპი და მონადირე ჩავარდა უფსკრულში, ყურშაც გადაჰყვა პატრონს.“ (აბაშიძე, 1984: 78)

საგულისხმოა, რომ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში სათაურით „ძველებური ლექსები და ამბები“ არის კიდევ ერთი ლექსი, რომელიც ამავე თქმულების სიუჟეტით

საზრდოობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს, ზემოთ განხილული ტექსტის, კიდევ ერთ, განსხვავებულ, ვარიანტს⁸ წარმოადგენს:

„ყურშა გავგზავნე სანადიროთა,
ნადირს მოველი სასადილოთა,
ჩემო ყურშაო, ყორნისა ლეკვო,
შენ რო მურდელელსა ყეფით მისდევდი,
კლდისა სოროსა ფეხითა სთხრიდი!
ყურშას ნახტომი დიდი მინდორი
და ნაფეხური კალოს ოდენი.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899გ: 18)

აღ. მაჩაბლის მიერ ჩაწერილ თქმულებათა შორის იძებნებიან ისეთებიც, რომლებიც სხვა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გარკვეულ ვარიაციებს წარმოადგენენ, თუმცა, სიუჟეტური ქსოვილის მსგავსების მიუხედავად არის გარკვეული განმასხვავებელი ფაქტორებიც.

ვნახოთ კიდევ ერთი თქმულება-გადმოცემა „ყაჩაღი ივანე ქვრივიშვილი“, რომელიც, ვფიქრობთ ამ კუთხით საინტერესო დეტალების შემცველია.

„ყაჩაღი ივანე ქვრივიშვილი. ერთი ყაჩაღი იყო, ივანე ქვრივიშვილს ეძახდნენ, იმის დედას იმის მეტი არავინა ჰყავდა. განებვირებულმა შვილმა ყაჩაღობა დაიწყო. ანაურს ზემოთ გზაში ჩასაფრებული იყო. ამ დროს მოდიოდა ხევსური თავის ცოლით. ივანე წინ გაუდგა, ეუბნებოდა: „მე ივანე ქვრივიშვილი ვარ, შენი ცოლი მე უნდა დამანებო“. ხევსურმა უთხრა: „კაცო, თავი დამანებე, შენ თუ ივანე ხარ, მე ხევსური ლეგა ვარო“. ამოიღო ორი აბაზი და უთხრა: „ამაზე მეტი არა მაქვს რა, აჰა წაიღე“. მაგრამ ივანე არ ეშვებოდა; ბოლოს ხმალზე მიდგა საქმე. ლეგამ აჯობა, მოჰკლა, არ შეარცხვინა არც იმისი და არც თავისი ვაშკაცობა, გაუშალა ქვეშ ივანესნაბადი, დააწვინა, ზევიდგან თავისი ნაბადი დაახურა და წამოვიდა დუშეთში შეატყობინა. გაიგო საბრალო ივანეს დედამ და იტირა:

დედამ შესტირა დუშეთსა:

„ლეგავ, რად გამატიალე?“

- „რას მაბოზ, დედავ, რას ამბობ,

ივანე დაგიჰკვიანე, -

ვამლიე ორი აბაზი,

„დამეხსენ, ჩემო ივანე“.

ჩემსასა მთხოვდა დიაცსა,

თავისიც გავუტიალე,

ანაური და დუშეთი

სულ თავქვე ჩავაგრიალე.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899დ: 12)

თქმულებაში „ყაჩაღი ივანე ქვრივიშვილი“ მოთხრობილი ამბის ხაზი ჩამოჰგავს ხალხურ ლექსში „შემომეყარა ყივჩაღი“ გატარებულ სიუჟეტურ ხაზს. ამბის განმსაზღვრელი დეტალია ივანე ქვრივიშვილის ჩასაფრება, რომელსაც განზრახული აქვს ხევსური ლეგას ცოლის მისაკუთრება. ხევსურთან შეხვედრა და მათი დიალოგი აძლიერებს ამბისადმი ინტერესს.

„ივანე წინ გაუდგა, ეუბნებოდა: „მე ივანე ქვრივიშვილი ვარ, შენი ცოლი მე უნდა დამანებო“.

ხევსურმა უთხრა: „კაცო, თავი დამანებე, შენ თუ ივანე ხარ, მე ხევსური ლეგა ვარო“. (აკაკის თვითური კრებული, 1899დ: 12)

⁸ ამ თქმულების კიდევ უფრო განსხვავებული ვარიანტების სანახავად იხ. 1. ხალხური სბრძნე, ტ. III, შემდგ. ელ. ვირსალაძე, თბილისი, 1964, გვ. 175; 2. ქართული მითოლოგია (რედაქტ. აპ. სილაგაძე, შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო აპ. ცანავამ), თბილისი, 1992, გვ. 47, 48, 49.

ამის შემდეგ მთქმელი მოგვითხრობს განვითარებულ მოვლენებზე, ივანესა და ლეგას შრკინებაზე, ბრძოლაში ლეგას გამარჯვებასა და მისი მეუღლის ღირსების შენარჩუნებაზე.

„ბოლოს ხმაზე მიდგა საქმე. ლეგამ აჯობა, მოჰკლა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899დ: 12)

ამბის დასასრულს საგულისხმო დეტალი გახლავთ ხევსური ლეგას მიერ მოკლული მტრისადმი ღირსეული მოპყრობა, გარდაცვლილი მტრისადმი დამოკიდებულება.

„ლეგამ აჯობა, მოჰკლა, არ შეარცხვინა არც იმისი და არც თავისი ვაშკაცობა, გაუშალა ქვეშ ივანეს ნაბადი, დააწვინა, ზევიდგან თავისი ნაბადი დაახურა და წამოვიდა დუშეთში შეატყობინა.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899დ: 12)

თქმულების ფინალურ ნაწილს წარმოადგენს მოკლული ივანე ქვრივიშვილის დედის დატირება და ლეგას პასუხი.

ზემოთ ვამბობდით, რომ თქმულებები და გადმოცემები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად პროზაული ფორმით ვრცელდებოდა. ცხადია, იყო შემთხვევები, როდესაც ლექსითი ჩანართებიც გამოერეოდათ ხოლმე. ზემოთ მოტანილი ტექსტი სწორედ ამ ტიპისაა. თქმულების, როგორც ტექნიკური ნაწილი, ასევე ლექსითი ჩანართიც გამართულია დიალოგების დახმარებით. ამბავი გადმოცემულია სხარტად, ლაკონურად და ძირითადი აქცენტები გადატანილია მოქმედების გამოხატვაზე.

პროფ. თ. ქურდოვანიძის მიხედვით, „ზღაპრისეული ელემენტების დამკვიდრება თქმულებაში იშვიათი არ არის, რადგან ეს ორი ჟანრი გარკვეული თვისებებით უახლოვდება ერთმანეთს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა თქმულებას არ ჰქონდა შეძენილი სინამდვილეში მომხდარზე მოთხრობის პრეტენზია.“ (ქურდოვანიძე, 2001: 138)

ამგვარ თქმულებათა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ 1899 წელს სოფ. ქურთაში⁹ ჩაწერილი თქმულება „ცხრა კაცის მკვლელი“, რომლის დასკვნით ნაწილში ზღაპრული ელემენტის მძლავრი ნაკადია შეჭრილი.

„ცხრა კაცის მკვლელი. იყო ერთი ბოროტი კაცი, სულ ერთ-თავად დოყზე იდგა ყველასთან და ეჩხუბებოდა; იმას ცხრა კაცი შემოაკვდა, მეთესთან მოუვიდა ჩხუბი, ამის მოკვლაც დააპირა. მოვიდნენ ხალხი დასაჭერად, გაექცა, გამოუდგნენ. ეს კაცი ბილიკს გაჰყვა, რომელიც ყანაში შედიოდა. შევარდა ყანაში ამ ბილიკით, უნდა გავარდნილიყო საითმე, მაგრამ ბილიკი სწყდებოდა და გზა აღარ იყო, ყანის გადათქელა არ ინდომა და გაჩერდა; მივიდნენ, დაიჭირეს და საპყრობილეში ჩააგდეს. გადაუწყვიტეს დახრჩობა, გამართეს სახრჩობელა, მიიყვანეს ეს კაცი და გააყოფინეს თოკში თავი. როცა ხელი ჰკრეს ჩამოსახრჩობად, უცბად ამოვიდა ორი ჭვავი, ერთი აქეთ ფეხში მიეცა, მეორე იქით და ძირს აღარ დაუშვა, რომ დამხრჩვალყო, - ყველას გაუკვირდათ. მოსჭრეს ჭვავები, მაგრამ კიდევ სხვა ამოვიდა და ფეხებში მიეხრჩინა, კვლავ მოსჭრეს, - კიდევ, არ დაუშვეს წვავებმა დასახრჩობათ. სუყველას გაუკვირდათ, იკითხეს რა ამბავია, რა სასწაულიაო? კაცის მკვლელობა უამბო, რომ რაკი ყანა არ გავთქელე და მუშა-კაცის მარჯვენის ნამუშევარი არ წავახდინე, იმისი მადლი მეწევო. ადგნენ მერე, ყველა დანაშაული აპატიეს და გაუშვეს.“ (აკაკის თვითური კრებული, 1899ე: 16)

დასკვნა. ამრიგად, თქმულება-გადმოცემები მხატვრულ ტექსტთა გვერდით განიხილება. როგორც დავრწმუნდით, ამ ტექსტების ბუნება არაერთგვაროვანი გახლავთ. ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ თუ ზოგიერთ მათგანს კავშირი გაწყვეტილი აქვს სინამდვილესთან და მხოლოდ გამონაგონს ეფუძნება. მათი შედარებით გვიანდელი ნაწილი ინარჩუნებს რეალობასთან გარკვეულ კავშირებს და გამონაგონის გვერდით

⁹ ქურთა - სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. ცხინვალიდან 7 კილომეტრში. 2008 წლის შემდეგ ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

თქმულებაში წარმოსახული ამბავი უკავშირდება რომელიმე კონკრეტულ მნიშვნელოვან ფაქტს, მოვლენას, ობიექტს ან ისტორიულ პირს. ბუნებრივია, ამბის გადმოცემა ყოველთვის მთქმელის პრიზმაშია გავლილი და გარკვეულ ნაკადებად მათში შეტანილია მხატვრული წარმოსახვის ელემენტებიც.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბაშიძე, ბ. (1984). *მიტოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში*. თბილისი.
- აკაკის თვიური კრებული. (1898)ა. სესიკი ყაულაშვილი. ჩაწერილი ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბლისაგან. #XI, განყ. III.
- აკაკის თვიური კრებული. (1898)ბ. თქმულება თამარ დედოფალზე. ოსისაგან ნაამბობი დ. ცხინვალში და ჩაწერილი თ. ალ. მაჩაბელისაგან. #VIII, განყ. II.
- აკაკის თვიური კრებული. (1899)ა. ყბა-თეთრი მეტრეველი (ბატონის ერთგულება, ისტორიული მასალა). #I, განყ. II.
- აკაკის თვიური კრებული. (1899)ბ. ამირანი და ამბრი. ს. ქემერტში გაგონილი მ. ჟუჟნიშვილისაგან. #I, განყ. II.
- აკაკის თვიური კრებული. (1899)გ. ქარციხის თებრუ ივანე. #I, განყ. II.
- აკაკის თვიური კრებული. (1899)დ. ყაჩაღი ივანე ქვრივიშვილი. ს. ქემერტში გაგონილი მ. ჟუჟნიშვილისაგან. #I, განყ. II.
- აკაკის თვიური კრებული. (1899)ე. ცხრა კაცის მკვლეელი (არაკი ქურთაში გაგონილი). #I, განყ. II.
- აკაკის თვიური კრებული. (1899)ვ. ძველებური ლექსები და ამბები. მ. ჟუჟნიშვილისაგან ნათქვამი. ს. ქურთაში ჩაწერილი. #I, განყ. II.
- ვირსალაძე, ელ. (1964). *ქართული სამონადირეო ეპოსი*. თბილისი.
- ქურდოვანიძე, თ. (2011). *ქართული ფოლკლორის პოეტიკა*. თბილისი.
- ქურდოვანიძე, თ. (2001). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.

REFERENCES

- abashidze, b. (1984). *mitologiis zogierti sak'itkhi kartul zep'irsit'qvierebashi* [Some Issues of Mythology in Georgian Orality]. Tbilisi.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1898)a. sesik'i qaulashvili [Sesiki Kaulashvili]. Recorded from Aleksandre, son of Davit, Machabeli. #XI, Section III.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1898)b. tkmuleba tamar dedopalze [The Legend of Queen Tamar]. Told by Ossetians in Tskhinvali settlement and recorded by T. Al. Machabeli. #VIII, Section II.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1899)a. qba-tetri met'reveli (bat'onis ertguleba, ist'oriuli masala) [White-Jawed Metreveli (Loyalty to the Master, Historical Material)]. #I, Section II.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1899)b. amirani da ambri [Amirani and Ambri]. Heard in village Kemerti from M. Zhuzhniashvili. #I, Section II.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1899)g. kartsikhis tebru ivane [Ivane the Fury of Kartsikhe]. #I, Section II.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1899)d. qachaghi ivane kvrivishvili [Ivane the Robber Kvrivishvili]. Heard in village Kemerti from M. Zhuzhniashvili. #I, Section II.
- ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1899)e. tskhra k'atsis mk'vleli (arak'i kurtashi gagonili) [The Killer of Nine Men (A fable heard in Kurta)]. #I, Section II.

ak'ak'is tviuri k'rebuli [Akaki's Monthly Collection]. (1899)v. dzveleburi leksebi da ambebi [Old poems and stories]. Told by M. Zhizhniashvili. Recorded in village Kurta. #I, Section II. virsaladze, el. (1964). *kartuli samonadireo ep'osi [Georgian Hunting Epic]*. Tbilisi.

kurdovanidze, t. (2011). *kartuli polk'loris p'oet'ik'a [Poetics of Georgian Folklore]*. Tbilisi.

kurdovanidze, t. (2001). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.